სამაგისტრო პროექტი: ლიდერობის სტრატეგიული ხედვა ორგანიზაციის ეფექტურ მართვაში

მაკა ნოზაძე

ქეთევან ნოზაძე

სოფიო ამირიძე-კაშია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკოლოზ მახარაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2016

განაცხადი

წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მაკა ნოზაძე _____

ქეთევან ნოზაძე _____

სოფიო ამირიძე-კაშია _____

თბილისი

2016

აბსტრაქტი

თანამედროვე ადამიანის ყოველდღიურ საქმიანობაში ძალიან ცოტა რამ არის ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც მართვა და ლიდერობა, ამიტომაც იგი მენეჯმენტის, როგორც მეცნიერების, შესწავლის უმათვრესი საკითხია, რომელიც დროთა განმავლობაში იცვლება და იხვეწება.

ხელმძღვანელობის შესახებ აწ უკვე მოძველებული შეხედულებების მიხედვით, ყურადღება გამახვილებული იყო ტოპ მენეჯმენტზე, ადამიანებზე, რომლებიც ორგანიზაციის სტრატეგიის შემუშავებაში უშუალო მონაწილეობას იღებენ და შესაბამისად მაღალი რანგის თანამდებობები უკავიათ, თანამედროვე მიდგომებით კი ხელმძღვანელობა უნდა განხორციელდეს ორგანიზების ყველა დონეზე, ამისათვის ყველა დონის ხელმძღვანელი პირი უნდა ფლობდეს არამარტო ფორმალურ ძალაუფლებასა და ტექნიკურ უნარ-ჩვევებს, არამედ გარკვეულ პიროვნულ, ლიდერისათვის დამახასიათებელ თვისებებს, როგორიცაა მაგალითად: კრეატიულობა, გაურკვევლობასთან/ორაზროვნებასთან გამკლავების უნარი, ემოციური ინტელექტი, ემპათია. ეფექტური ლიდერები ხშირად სწავლობენ და ანვითარებენ თავიანთ ჩვევებს, იმისათვის რომ მათი საქმიანობის შედეგად კომპანიამ მიაღწიოს წარმატებას, ორგანიზაციის წარმატება კი მათი წარმატებაც იქნება.

ჩვენი კვლევის მიზანია დავაგინოთ:

- რა როლი აქვს ლიდერს ორგანიზაციის ეფექტურ მართვაში, რათა ორგანიზაციამ წარმატებას მიაღწიოს.
- გამოკვლეულ იქნას თანამშრომელთა და მენეჯერთა დამოკიდებულება ლიდერობის როლისა და მნიშვნელობის შესახებ.

პირველადი მონაცემების შეგროვებისას გამოვიკითხეთ საქართველოს სხვადასხვა კერძო კომპანიებში და საჯარო სამსახურში დასაქმებულები, ასევე დირექტორები/ხელმძღვანელი პირები. ორივე გამოკითხვა შედგა ონლაინ, სულ

გამოიკითხა 270 დასაქმებული და 10 სხვადასხვა კომპანიის მენეჯერი, ლიდერობის მნიშვნელოვანი როლის გამოკვლევისთვის ორგანიზაციების ეფექტური მართვის დროს.

კვლევამ გვაჩვენა, რომ თანამშრომელთა უმრავლესობა ინფორმირებულია კომპანიის მოკლევადიანი მიზნების შესახებ, თუმცა შედარებით ნაკლებ ინფორმირებულია გრძელვადიანი მიზნების მიღწევის თაობაზე. გამოიკვეთა მენეჯერთა მართვის სტილების მრავალფეროვნება. ჩვენი კვლევისა და ანალიზის შედეგად გამოჩნდა რომ, ბაზარზე არსებულ თანამედროვე ორგანიზაციის ლიდერებს მართვის უნარ-ჩვევებში თანამშრომელთა შეხედულებით კარგი შედეგები აქვთ, რადგან დასაქმებულები თვლიან რომ წარმატებულ კომპანიებში მუშაობენ, რაც მათი ლიდერის სწორი ხედვისა და მართვის დამხაურებაა.

მენეჯერთა გამოკითხვის შედეგებმა ცხადჰყო, რომ გუნდურობა არის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტთაგანი, რომელიც მათი კომპანიის კონკურენტუნარიანობას განაპირობებს, ასევე მომავლის ხედვა თუ საითკენ მიდის კომპანია, რა მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები/გამოწვევები აქვს. თითოეული თანამშრომლის წვლილის აუცილებლობის ხაზგასმა ამ მიზნების მისაღწევად.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში ჩვენი კვლევის შეჯამებაა წარმოდგენილი. მიმდინარე სიტუაციის ანალიზთან ერთად, თუ რა დამოკიდებულება აქვთ თანამშრომლებს თავიანთი კომპანიის ლიდერების მიმართ და პირიქით მენეჯერები როგორ აფასებენ თავიანთ შესაძლებლობებს, კომპეტენციებს, ლიდერულ თვისებებსა და სუსტ მხარეებს, წარმოდგენილია ჩვენი რეკომენდაციები - თუ რისი გათვალისწინება იქნებოდა დადებითი შედეგის მომტანი ლიდერობის სტრატეგიული ხედვის ფორმულირებისთვის ორგანიზაციების ეფექტური მართვისას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ლიდერობა; ლიდერობის მეთოდები და სტილები; სტრატეგიული მართვა; სტარტეგიული დაგეგმვა, ემოციური ინტელექტი.

Abstract

In modern man's daily organizational activities, a few things are as important as the management and leadership, that's why it is a major issue of a study of management science. Management and leadership improves over the time and becomes more and more important in the daily life of company.

The leadership of the now-outdated opinions, focused on top management, the people who are directly involved in the organization's strategy formulation high-ranking positions. In accordance with the modern approach, management of the organization should be carried out at all hierarchy levels of the company. For this, all leaders of company at any level must posses not only the formal authority and technical skills, but also a certain personality traits, such as: Creativity, uncertainty / ambiguity coping skills, emotional intelligence, empathy.

The aim of our survey is to clarify:

- What is the role of the leader in the organization's effective management in order to reach success.
- Examine the attitude of the employees and managers to the role and the importance of leadership

In the course of collecting primary data information, several private and public company employees (Head of divisions, Office managers, specialists, consultants and etc.) were interviewed. Survey process conducted online and totally 270 employees and 10 leaders were participated in order to define the role of leadership in the organization's effective management.

Research has shown that employees are informed about the company's short-term goals, but less aware of the long-term objectives. Diversification of management styles in different organizations was also clarified. Our research and analysis has shown, that the modern organization's leaders have good managerial skills by the employee's opinion. Employees belive, that that the success of the company they work in, is the result of the leaders right strategic vision and good management.

On the other hand, managers' survey showed that teamwork is one of the main components, which leads to the company's competitiveness, as well as the future vision, where the company is going in the short-term and long-term goals / challenges. Also,contribution ofeach employee and emphasize this importance for reaching these goals is major.

In the conclusion part of the thesis, there is a summarization of our survey. With the current situations analysis - attitude of the employees of their company leaders and managers on how to assess their abilities, skills, leadership skills and weaknesses, we present our recommendations for the managers – what should be beneficial considering in formulating a strategic

Key search words: leadership; Leadership styles and methods; Strategic management; Strategic planning, emotional intelligence.

მადლობა

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ ჩვენი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ასოცირებულ პროფესორს, ნიკოლოზ მახარაშვილს გაწეული დახმარებისთვის, ჩვენი მოტივირებისთვის და გაზიარებული ცოდნისა და გამოცდილებისთვის. მისი მითითებები დაგვეხმარა კვლევისა და ნაშრომის წერის პროცესში.

ასევე მადლობას ვუხდით კვლევაში მონაწილე პირებს, რომელთა დამხარებითაც ჩამოვაყალიბეთ ჩვენი ნაშრომი.